სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №295

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი **27 ნოემბერი, 2018 წ.**

ერთი მხრივ, სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი რექტორის პირველი მოადგილის ირაკლი კაცაძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. ,,ვოლნათ ტრენინგ ცენტრი'' (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანო მგელაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2018 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 16 დეკემბრის (კვირაში 3-ჯერ) ჩათვალით საზღვაო აკადემიის თანამშრომლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტის მეგი ფარტენაძის ტრენინგის ორგანიზება და ჩატარების (სასწვლო კურსის დასახელება ,,სტრატეგიული სოციალური მედია მარკეტინგი'') მომსახურების შესყიდვა.
2.2. კლასიფიკატორის კოდი: 80530000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება - 200 (ორასი) ლარი.
3.5. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
4.3. <u>დაფინანსების წყარო:</u> საგანმანათლებლო მომსახურებიდან და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან.

,,შემსყიდველი'' ,,მიმწოდებელი''

ND 2-O05-11

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი მეგი ფარტენაძე.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი ქ. ბათუმი,მერაბ კოსტავას ქ., №24, ბ. 9
6.2. მომსახურების მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს 2018 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

„შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“

ND 2-O05-11

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“

სახაზინო კოდი: 709007501
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ.№53

რექტორის პირველი მოადგილე
ირაკლი კაცაძე

„მიმწოდებელი“

შპს ,, ვოლნათ ტრენინგ მარკეტ''

ანგარიშის № GE37TB7562636080100010
საიდენტიფიკაციო კოდი: 445521089
მიმღების ბანკი: სს,,თი ბი სი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
საქართველო, ქ. ბათუმი, მერაბ კოსტავას ქ., №24, ბ. 9

დირექტორი
ნანო მგელაძე